ᲛᲠᲘᲚᲘᲐ

სურათებიანი დამაგები

დამატების № 3. ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1906 წ. გაზეთის № 8.

სიმღერა ერთგულ ამხანაგზე

ოჰან შერრისა

დიდის დარბაზის მაღალ კედლებზე
ისინი იდგნენ და მუშაობდნენ,
ოფლი იღვროდა კონკის ძვილებზე,
ღარიბ ლუკმისთვის დღე-ბედშაობდნენ!

—

ძირს კი პარიზი, დიდი პარიზი
ღელავდა, ვით ზღვა ქარიშხლიანი,
აქ ისმის გმინვა, ამონაკვნესი,
იქავ ღიღინებს ქუდ-ბედიანი!

—

ადის კედელი სულ მაღლა, მაღლა,
დიდი დარბაზი ცისკენ მიიწევს,
გუგუნებს ქარი, იმისი ტალღა
ფიცრებს აქანებს, აწყვეტებს, არწევს!

—

და აგერ უცებ დაიგრიალა,
დაისისინა, დაჰკრა ხარაჩოს,
ძირს ჩამოფუშა და ორი მუშა
შერჩნენ ფანჯარის პაწია ჩარჩოს!

—

მალე წამოვლენ ორივე ძირსა,
კარგად იციან რაც რო მოელით,
იმედი არ აქვთ სუსტი ფიცრისა,
აწყდებათ ქარი სტვენა-გრიალით!

—

„ამხანაგოვო,—ერთი მეორეს
ეტყვის:—ორთავეს ვერ დაგვიმაგრებს,
მე ხელს გავუშვებ ემჯობინება,
ერთი ჩვენგანი მაინც გადარჩეს!“

—

—ეგ არ იქნება, ერთგულო ძმაო,
მიუგო ოხვრით მეორე მუშამ,
შენ ცოლშვილი გყავს, მათ ვინ დაარჩენს?
მე კი რო მოვკვდე, არვის რა უშავ!

—

აქ არჩევანი რა საჭიროა,
მშვიდობით ძმაო!—ათრთოლდა მუშა
და, ამხანაგის გადასარჩენად,
პაწია ჩარჩოს ხელი გაუშვა!

—

ძირს მარმარილო სისხლმა შეღება,
მოკვდა, აღმოხდა ტანჯული სული,
თვისი სიკვდილით მან დაამტკიცა,
რომ ამხანაგის იყო ერთგული!

ი. ეგდოშვილი.

ᲥᲣᲩᲘᲡ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲰᲝᲓ ᲔᲖᲘᲡᲐ.

(თარგმანი)

მშვენიერი სანახავია მონსონის ბალი შემოდგომაზედ. ამ მშვენიერებას რაღაცა წყნარი სინაზე ეტყობა. მცენარეები არა ტიტვლდება ისე ადრე, როგორც პარიზის სხვა ბაღებსა და ჭალებში. ხეების უმეტესი ნაწილი ზამთარშიაც არა ჰკარგავს მშვენიერ მწვანე სამოსელს. ძირს ჩამოცვივნულ ფოთლებს, მებაღე სწრაფად აგროვებს: ამიტომ ქროლვის დროს აქ ვერასოდეს ვერ დაინახავ ჰაერში მცურავ ფოთლებს, რომელიც აგონებს „ადამიანს კლუბებში“ მოცეკვავე ოფოფებს, ან კიდევ ჩვენს „უზრუნველ-უდარდელ“ მოცეკვავე ქალებს. ყოველ დღე ასუფთავებენ ბილიკებს, ჰკრეჭენ ყვავილნარებს და ველებს, ახვევენ ფოთალოს ხალიჩებს. გაჰქრა მხოლოდ ზაფხულის მრავალ ფეროვანი ყვავილები, აღარსადა სჩანს. სილამაზის ჰარმონია ჩაჰქრა. ეხლა ყველგან სჭარბობს მუქი-მწვანე ფერი. ადგილ-ადგილ მოსჩანს ზოგიერთა გატიტვლებული რუხი ხის ტანი და ქვის ქანდაკება.

ეკლის გვირგვინი.

ერთ მშვენიერ დღეს, ოთახში სეირნობის დროს, ქ-ნმა ვერმონმა გადახედა თავის მშვენიერ მიხაკის ფერ კაბის გრძელ ბოლოს და იფიქრა: „მუქ მწვანე ფერს ძალიან მოუხდება მიხაკის ფერიო, და მედიდურად, როგორც შეჰფეროდა დიდ ბანკირის ცოლს, შრიალით შესცურდა თავის მდიდრულად მორთულ ოთახში. ამ დროს მოუარა დედობრივმა ნაზმა გრძნობამ დაწელექტრონის ზარის ღილს თითი დააჭირა.

— ტომ, უბრძანე კუპე შეგბას! — უთხრა ზარის ხმაზედ შემოსულ მოახლეს: — ჯერმენს უთხარ, გასტონი მომგვაროს, მონსონის ბაღში უნდა წავიყვანო.

რაღაც საკვირველება ხდებოდა: კვლავ თავის ხუთი წლის ვაჟს სასეირნოდ ძიძას ატანდა ხოლმე, თვითონ კი ბულონის ტყეში სეირნობდა.

ცოტახნის შემდეგ შემოირბინა სიხარულისაგან აღტაცებულმა, სახე გაბრწყინვებულმა გასტონმა. მალე დედა-შვილი მდიდრულის ეტლით მიხრიალდნენ ბაღის კარებთან და აქედან ფეხით გასწიეს ხეივნისაკენ.

წინაღამეს სიცივე იყო: ზოგიერთ ხის ძირში რთვილი მოსჩანდა. სუსხიანი ღღე იყო. ცივი ჰაერი უწითლებდა ნაზ ლოყებს, მაგრამ ძვირფას, რუსულ ქურქში გახვეული ქ-ნი ვერმონი სრულებით არ ეპუებოდა და სიამოვნებით, ხარბად, მთელის გულით — ისუნთქავდა გამაცოცხლებელ ჰაერს და დრო გამოშვებით უღიმოდა პაწია გასტონს, რომელიც მეტისმეტ სიხარულით კუნტრუშებდა, როგორც გაზაფხულის ღილაზედ ახლად გამოშვებული ციკანი.

მშვენიერი სანახაკი იყო გასტონი შავ ხავერდის ტანისამოსით და გვერდზედ მოკედებულ კრავის ბოსტახით. დედა სიამაყით შესცქეროდა შვილს და გუნებაში ადარებდა იქვე მოთამაშე ყმაწვილებს. ამდენ ბავშვში ერთიც არ იყო ისე კოხტად ჩაცმული, როგორც იმისი გასტონი. ფიქრში გართულმა ქ-ნმა ვერმონიმ დაიწყო თავის თავზედ ოცნება... დარწმუნებული იყო, რომ მის სიმშვენიერეს, სინაზესა და ბუნებრივ მიხვრა-მოხვრას ეს ბუნება აორკეცებდა. ამ აზრმა მის გულს გამოუთქმელი სიტკბოება და ბედნიერება მოჰფინა, ნაზ სახეზედ კმაყოფილება გამოეხატა.

— რა მშვენიერი ღღეა; რა ძვირფასია სიცოცხლე! — იფიქრა გულში ყველაფრით დაკმაყოფილებულმა, ცხოვრებისაგან გალაღებულმა ქალბატონმა.

გასტონმა მიიტყუა დედა აუზთან, რომელშიაც მრავალი შინაური იხვი ყურყუმალაობდა და ცურაობდა, და დაიწყო აუზში პურის ნატეხების ყრა. დიდ ხანს სტკბებოდა გასტონი იხვების გაუმაძღრობით. გადაგდებდა თუ არა პაწია პურის ნატეხს, იმწამს რამდენიმე იხვი ეცემოდა დასაჭერად, ძიძგილაობდნენ ერთმანეთში. ბოლოს, როცა ამ სურათის ცქერით კარგა გული იჯერა, უცებ წამოიძახა:

— დედილო, მომეცი ერთი სუ!

— სუ? რათ გინდა მერე? — ჰკითხა გაოცებულმა დედამ.

— სამსონასაგან უნდა ნამცხვარი ვიყიდო, ჟერმენი ყოველთვის მაძლევს ხოლმე სუს, როცა კი აქ მოვდივართ!

აკი სახლში ბევრი ტკბილეულობა გაქვს. მერე სამსონის ნამცხვარზედ ბევრით უფრო უკეთესი.

— არა, დედილო, ეს ნამცხვარი შინაურზე უფრო მიყვარს. აბა წამოდი, ნახე როგორი გასართობია. დაატრიალებს მანქანას, გამოვა ნომერი, რამდენსაც ნომერი გვიჩვენებს, იმდენ ნამცხვარს მოგვცემენ. თუ სამი ნომერი შეგვხდა, სამს მოგვცემენ. ყველაზე დიდი ნომერი თორმეტია. ჯერ არ შემხვედრია ეს ნომერი. დედიკოჯან, წავიდეთ, შენ გენაცვალე!

— კარგი, შენი ნებაა, წავიდეთ შენ სამსონთან, დაეთანხმა პატარა გასტონს დედა.

ყმაწვილმა სიხარულით ტაში შემოჰკრა და ელვასავით გაექანა წინ.

— აი აქა! — მიუთითა ბალღმა დედას მოხუც დედაკაცზედ, რომელიც თუნუქის ჯასრთან დაბალ სკამზედ იჯდა. ქალბატონი ვერმონი ბავშვთან მოკიდა და ხელში დაპირებული სუ ჩაუდო.

გასტონი, სანამ ვაჭარი ქალი მანქანას დაატრიალებდა, დიდის გაფაციცებით აღევნებდა თვალს იმის მოძრაობას. ამ დროს ქ-ნმა ვერმონიმ უცებ შეხედა ვაჭარ ქალს და დაინახა მოგრძო სახის, ძლიერ გამხდარი, მოყვითლო, მწვანე ფერის, ნაოჭებით დასერილ-დაჭმუჭნული, პერგამენტის მსგავსი სახე, აბურძგნულ წარბებით და ღრმა, ჩალურჯებულ ფოსოებით. ბალღებიდანაც ძლივს გამოიბეჭუტებოდა ნაღვლიანი, სევდით სავსე თვალები, ღრმად ჩაფიქრებულის გამომეტყველებით. საბრალო მოხუცს გამხდარი ხელები უცახცახებდა; კუზიან ზურგზედ მოგდებული ჰქონდა ძველი შალის ნაგლეჯი. ამ ქალის დანახვაზედ ქ-ნი ვირმონი ცახცახმა აიტანა. თვალწინ წარმოუდგა ის უმწეო ცხოვრება, რომელიც ჰხვდა წილად პარიზის ქუჩის ღარიბ მცხოვრებთ.

სეფრანგეთის რევოლიუციიდან. — ბარიკადებზე.

რამ აიძულა ეს ავადმყოფი მოხუცი იმ სიცივე-ყინვაში გარედ გამოსულიყო სავაჭროდ? ის არ ერჩივნა საცოდავს, მჯდარიყო თავისუფლად თბილ ოთახში, რომელზედაც ამისთანა ღრმა მოხუცს აქვს სრული უფლება. როგორ ჩავარდა ამგარემოებაში, რომ იძულებული გახდა ჰყიდოს ქუჩაში ნამცხვარი ამ საშინელ სიცივეში. ეტყობა, მოხუცს არა ჰყავს არც ქმარი, არცა შვილი და არც აქვს არავითარი შეძლება. ქუჩაში ვაჭრობა ამას რამდენსამე სუს მეტს არას მისცემს, მაშ რითი სცხოვრობს?

ათასმა ამისთანა აზრმა გაურბინა თავში ქ-ნ ვირმონის. მოხუცებულის გაჭირვებულმა მდგომარეობამ სრულებით დაიმონავა და შეიპყრო იმისი გონება. ცივმა ერუანტელმა დაუარა ტანში. აქამდის ჩათბუნებულმა იგრძნო სიცივე და დაიწყო ძვირფას ქურქში ხვევა.

— მეათე, დედილო! მეათე ნომერი შემხვდა! — წამოიძახა ამ დროს გახარებულმა გასტონმა და სხვა და სხვა ხმაზედ გაიმეორა სიტყვა „მეათე“.

მოხუცმა გაშხდარის ხელებით ახადა ყუთს სახურავი, წყნარად ამოიღო ერთი მეორეზედ მიკრული ნამცხვარი და გადასცა ბედნიერ ბალღს. შვილის გახარებულმა ხმაურობამ გამოარკვია ჩაფიქრებული დედა, რომელმაც მაშინვე მიიღო ისევ მედიდური და დინჯ-უზრუნველი გამომეტყველება, ამოიღო ჯიბიდან ხუთი ფრანკი, წყნარად დასდო კასრის სახურავზედ და მოემზადა წასასვლელად. მოხუცმა მოხრილი თავი მაღლა აასწია და, ზიზღით გამსჭვალულმა, მრისხანებით

ლუი XVI და მისი ოჯახი საპატიმროში.—სურათი ვარდ ისა.

შეეხედა ფულის დამდებს. ქ-ნი ვირმონი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს უსიტყვოდ გამოთქმული ზიზღი და მრისხანება.

— უკაცრავად!—შეკრთომით წაილულღლულა ცხოვრების სათუთმა არსებამ, აიღო ფული კასრის სახურავიდან და გაწითლებული ჩქარის ნაბიჯით გამობრუნდა უკან.

გასტონი ხტუნვა-ცეკვით გამოეკიდა დედას და თან გზა და გზა უდარდელად შეექცეოდა საყვარელ ნამცხვარს. მოხუცი კვლავინდებურად განაგრძობდა ვაპრობას და თან უნებურად ეძლეოდა ფიქრს და ვარამს.

მთელის დღის განმავლობაში ქ-ნ ვირმონის რამდენჯერმე წამოუდგა თვალწინ მოხუცი დედაკაცი, იმის დაღვრემილი სახის მოგონებაზედ, ტანში ჟრუანტელი უვლიდა, ძარღვები ეშლებოდა.

(დასასრული იქნება) მ. ქარტიკაძე

ბლაბარი წყლის შესახებ

(დასასრული *)

ასე იყო იმ დრომდე, სანამ ქვეყნად გაჩნდნენ ეგრედ წოდებული აგიტატორები: ისინი ხალხს აღელვებდნენ, რომ ხალხმა ერთად უნდა იმოქმედოს, რათა თავი დაიცვიოს კაპიტალისტების მონობას და არ იტანჯებოდეს წყურვილისაგან. კაპიტალისტები ბოროტ ხალხად სთვლიდნენ აგიტატორებს და მზად იყვნენ ყველანი მოესპოთ პირისაგან ქვეყნისა, მაგრამ ხალხის შურისძიებისა ეშინოდათ.

აი, რა სიტყვებით მიმართეს ხალხს აგიტატორებმა:

— უგუნურები ხართ! როდემდე უნდა იყვნეთ გაბმულნი კაპიტალისტთა მახეში და, გწამდეთ ის, რაც არ არის ნამდვილად? ამინ, ამინ გეტყვით თქვენ: ის, რასაც გეუბნებიან განუწყვეტლივ მკითხველი და კაპიტალისტნი,—გაიძვერულად შეთხზული სიცრუეა. ის მოციქულნი კი, რომელნიც გარწმუნებენ, ვითომ ღმერთს სურდეს, „რომ თქვენ გიჭირდეთ, გშიოდეთ და გწყუროდეთ, გაცილებით მეტსა სტყუიან, ვიდრე პირველნი. რატომ არა გაქვთ წყალი? აუზი ხომ სავსეა? იმიტომ, რომ ფული არა გაქვთ, არა? ფული რატომ არა გაქვთ? იმიტომ, რომ თითო ჩაფ წყალში, რომელიც მოგაქვთ ბაზარზე, გაძლევენ თითო ფულს, მაშინ, როდესაც ერთ ჩაფში, რომელსაც თქვენ ყიდულობთ ბაზარზე, იხდით ორ ფულს, და ასე ზედ-მეტს კაპიტალისტებს უტოვებთ, არა? ნუ თუ ვერა ხედავთ, რომ აუზი სავსეა წყლით, სავსეა იმ წყლით, რომელსაც თქვენ გართმევენ? ნუ თუ ვერა ხედავთ, რომ აუზის უხვობა თქვენ გაჭირვებაზეა დამყარებული? ნუ თუ ვერა ხედავთ, რომ, რაც მეტს იმუშავებთ და გულმოდგინეთ მიიტანთ წყალს აუზში, მით უფრო გაჭირვებულნი იქნებით იმ მოგების წყალობით, რომელიც რჩება კაპიტალისტებს თქვენის შრომისაგან? და ასე იქნება ქვეყნის გადაბრუნებამდე...

დიდ ხანს ეუბნებოდნენ აგიტატორები ამ გვარ სიტყვებს ხალხს, რომელიც პირველად გულ-გრილად უსმენდა. საქმე იმით გათავდა, რომ ხალხმა გულმოდგინედ დაუწყო მოსმენა და ბოლოს უპასუხა აგიტატორებს:

— მართალს ამბობთ. „კაპიტალისტებისა და მათის მოგების წყალობით ვართ გაჭირვებულნი, რადგან ისინი და მათი შემოსავალი ხელს გვიშლიან ვისარგებლოთ ჩვენის შრომის ნაყოფით, რომელიც იკარგება ტყუილა-უბრალოდ. რაც უფრო ვცდილობთ აუზის ავსებას, მით უფრო მალე ივსება იგი, და მაშინ სულ აღარ გვეძლევა წყალი, რადგან წყალი ძალიან ბევრია ხოლმე, როგორც ექიმბაშებმაც აგვიხსნეს. მაგრამ კაპიტალისტები გაუმაძღარნი არიან და მათი მოწყალებაც მეტისმეტად სასტიკია. გვასწავლეთ ისეთი საშუალება, რომლის მეოხებითაც შეგვეძლოს მონობის ბორკილების დაშსხვრევა. თუ განთავისუფლების ჭეშმარიტი გზა არ იცით, ნუ დაგეტანჯავთ ტყუილად და მოგვასვენეთ, რომ დავიწყებას მივცეთ ჩვენი ჭირ-ვარამი.

აგიტატორებმა უპასუხეს:

— ჩვენ ვიცით მაგნაირი საშუალება.

*) იხ. „შრომა“ № 2.

მაგრამ ხალხი განაგრძობდა:

— არ მოგვატყუოთ. დასაბამიდანვე გვეუბნებოდნენ ბევრნი მაგას, მაგრამ ჯერ ვერავინ ჰპოვა ეგ საშუალება, თუმცა ზოგიერთი გულმოდგინედ იკვლევდა. თუ იცით რაიმე საშუალება, გვასწავლეთ ჩქარა, გვასწავლეთ!

მაშინ აგიტატორებმა აუხსნეს ხალხს, რაში მდგომარეობდა მათი საშუალება.

— ჩვენ გეუბნებით,—ეუბნეოდნენ აგიტატორები:—რად გინდათ კაპიტალისტები, რომელნიც თქვენის შრომის ნაყოფს ითვისებენ? რა მოღვაწეობა მიუძღვის მათ თქვენს წინაშე, რომ მაგვარ ხარკს იხდით? აბა დაუკვირდით, ყველა იმისი ბრალი არ არის რომ რაზმებად გყოფენთ, აქეთ-იქით გგზავნიან, ანაწილებენ თქვენ შორის შრომას და ამაში გაძლევენ ცოტა წყალს, რომელიც მოტანილია, რასაკვირველია, არა მათ მიერ, არამედ თქვენისავე ხელით?! აი საშუალება, რომელიც გიხსნით მონობისაგან. თქვენვე გააკეთეთ ის, რასაც აკეთებენ კაპიტალისტები, ე. ი. თქვენვე მოაწესრიგეთ თქვენი შრომა, თქვენვე განაგეთ თქვენი რაზმები, თქვენვე გაანაწილეთ თქვენ შორის სხვა და სხვა მოვალეობა, და მაშინ აღარ დაგჭირდებათ არც კაპიტალისტები, არც ის, რომ თქვენ მიართვათ მათ მოგება. ყველანი ძმურად გაიყოფთ თქვენის შრომის ნაყოფს. აუზებიც აღარ აივსება იმ დრომდე, სანამ ყველა თქვენგანი წყურვილს არ მოიკლებს. ზედ-მეტ წყლით-კი გააკეთებთ ტბებს და შადრევენებს თქვენსავე გასართობად, როგორც ამას კაპიტალისტები სჩადიან. მაგრამ სიამოვნება იგი, რომელსაც იგრძნობთ თქვენ, იქმნება მაშინ სიამოვნება საერთა-შორისო.

ხალხმა უპასუხა:

— თქვენი ნალაპარაკევი სამართლიანად მიგვაჩნია, მაგრამ როგორ მივაღწიოთ მაგას?

აგიტატორებმა სთქვეს:

— კაპიტალისტებმა უკვე შეგასწავლეს სხვა და სხვა მოვალეობის ასრულება და ერთმანეთის მეთაურობა. შეგიძლიანთ მოაწყოთ თქვენი რაზეები და შრომა ისე, რომ თქვენ შორის არ იყოს არც მსახური, არც ბატონი, არამედ ყველანი მარტოოდენ ძმები იყვნეთ. მაშინ აღარავინ გაიწევს შოგებისაკენ, და ყველანი ერთნაირად ისარგებლებენ საზოგადო შრომის ნაყოფით. თქვენ მონები ხართ მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტებისათვის შრომობთ. რათა თავისუფალი მოქალაქენი იყვნეთ, თქვენ უპირველესად ყოველისა თქვენთვის უნდა იმუშაოთ. ყველაფერი ყველას უნდა ეკუთვნოდეს: აუზიც, წყაროებიც, ბაღ, წყლის საქაჩავებიც და ჩაფებიც მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს და არა მარტო კაპიტალისტებს. იბრძოლეთ, რომ ყველაფერი ასე მოეწყოს: ეს არის ერთად-ერთ გზა თავისუფლობისაკენ.

ხალხი უსმენდა. რჩევა ძალიან მოეწონა. ამასთან ამ რჩევის განხორციელება არც ისე ძნელი იყო. ხალხმა ერთხმად შესძახა: „ჩვენ სხვა გზა არ გვინდა! იყოს ესე!“ ხმა ესე ხალხისა ესმათ კაპიტალისტებს, მკითხავებს, ცრუმოციქულებს და სამხედრო საქმის მცოდნეთ, რომელნიც იცავდნენ კაპიტალისტებს, და ყველანი შეიპყრო შიშის ზარმა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „დადგა დღე აღსასრულისა ჩვენისა!?“

მართლმოციქულებს, რომელნიც ხალხის სიყვარულით არასოდეს არ გადადიოდნენ კაპიტალისტთა ბანაკში, უხარიოდათ, რადგან ჰგრძნობდნენ თავისუფლების მოახლოვებას.

ხალხი ისე მოიქცა, როგორც აგიტატორები ურჩევდნენ და აღსრულდი ყველაფერი ისე, როგორც იწინასწარმეტყველეს მათ: ამ ქვეყნად აღარ იყვნენ მშიერნი, გაყინულნი სიცივისაგან და მწყურვალნი.

და ყოველი მამა-კაცი ეუბნებოდა მეორეს: „ჩემო ძმაო!“ და ყოველი დედა-კაცი მეორეს: „ჩემო დაო!“ ვინაიდან ადამიანნი ძმები და დები იყვნენ და მშვიდობიანად სცხოვრებდნენ ერთმანეთში. და დამყარდა ქვეყნად მეუფება საუკუნო სიმართლისა.

დადგაძე



მობძანდით, ნიადაგი მზად გახლავთ!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიახაშიძე.

ელექტრონის ხატაბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ბა.

ფონის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 273